

ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ

თავი I. ზოგადი დებულებანი

ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოში ტერორიზმთან ბრძოლის ორგანიზების ფორმებსა და სამართლებრივ საფუძვლებს, აგრეთვე ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში ხელისუფლების ორგანოთა კოორდინაციის წესს, საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და ორგანიზაციების, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეების მონაწილეობის საფუძვლებს, მათ უფლებებს, მოვალეობებს და მათი სოციალური დაცვის გარანტიებს.

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ტერორიზმი – ძალადობა ან ძალადობის გამოყენების მუქარა, მიმართული ფიზიკური ან იურიდიული პირების წინააღმდეგ, შენობა-ნაგებობების, სატრანსპორტო საშუალებების, კომუნიკაციების და სხვა მატერიალური ობიექტების განადგურება-დაზიანება ან მათი განადგურება-დაზიანების მუქარა იარაღის, ასაფეთქებელი მასალების, ბირთვული, ქიმიური, ბიოლოგიური თუ სხვა, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ნივთიერების გამოყენებით ან ადამიანის გატაცებითა თუ მძევლად აყვანით, რათა ხელისუფლება ანდა მისი რომელიმე ორგანო ან საერთაშორისო ორგანიზაცია იძულებული გახდეს, განახორციელოს გარკვეული ქმედება ან თავი შეიკავოს გარკვეული ქმედების განხორციელებისაგან, რომელიც ტერორისტების მართლსაწინააღმდეგო ინტერესებში შედის;

ბ) ტერორისტული აქტი – აფეთქება, ცეცხლის წაკიდება, ადამიანზე თავდასხმა, იარაღის გამოყენება ან სხვა ქმედება, რომელიც ქმნის ადამიანის სიცოცხლის მოსპობის, მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის ან სხვა მძიმე შედეგის განხორციელების საშიშროებას, ჩადენილი ტერორისტული მიზნით, ან ტერორისტული აქტის ჩადენის მუქარა;

ბ¹) ტერორისტული მიზანი – მოსახლეობის დაშინება ან ხელისუფლების ორგანოს, უცხო ქვეყნის ხელისუფლების ორგანოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება, ან ქვეყნის/უცხო ქვეყნის/საერთაშორისო ორგანიზაციის ფუნდამენტური პოლიტიკური, კონსტიტუციური, ეკონომიკური ან სოციალური სტრუქტურების დესტაბილიზაცია ან განადგურება;

გ) ტერორისტული საქმიანობა – საქმიანობა, რომლისთვისაც პასუხისმგებლობა განსაზღვრულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXVIII თავით;

დ) საერთაშორისო ტერორიზმი – ტერორისტული საქმიანობა, რომელიც განხორციელდა:

დ.ა) ტერორისტების, ტერორისტული ჯგუფების ან ტერორისტული ორგანიზაციების მიერ სხვა სახელმწიფოს (სახელმწიფოების) ტერიტორიაზე (ტერიტორიებზე), ან თუ ზიანი მიადგა სხვა სახელმწიფოს (სახელმწიფოებს);

დ.ბ) ერთი სახელმწიფოს მოქალაქეთა მიერ მეორე სახელმწიფოს მოქალაქეთა მიმართ;

დ.გ) იმ შემთხვევაში, როდესაც როგორც ტერორისტი, ისე ტერორიზმის მსხვერპლი არიან ერთი ან სხვადასხვა სახელმწიფოს მოქალაქეები, მაგრამ ტერორისტული აქტი ჩადენილია ამ სახელმწიფოთა ტერიტორიების გარეთ;

ე) ტერორისტი – პირი, რომელიც მონაწილეობს ტერორისტულ საქმიანობაში;

ვ) ტერორისტული ჯგუფი – ორი ან მეტი პირის გაერთიანება ტერორისტული საქმიანობის (ტერორისტული აქტის) განხორციელების მიზნით;

ზ) ტერორისტული ორგანიზაცია – ორგანიზაცია (მიუხედავად მისი ფორმისა), შექმნილი ტერორისტული საქმიანობის განხორციელების მიზნით. ორგანიზაცია შეიძლება ცნობილ იქნეს ტერორისტულ ორგანიზაციად, თუ ის არის დროის განსაზღვრულ პერიოდში არსებული ორზე მეტი პირის ორგანიზებული გაერთიანება. ორგანიზებულ გაერთიანებად ჩაითვლება გაერთიანება, რომელიც არ არის შემთხვევით შექმნილი დანაშაულის დაუყოვნებლივ ჩასადენად და რომელშიც არ არის აუცილებელი, ფორმალურად იყოს განაწილებული როლები გაერთიანების წევრთა შორის, წევრობას ჰქონდეს უწყვეტი ხასიათი ან ჩამოყალიბებული იყოს განვითარებული სტრუქტურა;

თ) მძევალი – ფიზიკური პირი, აყვანილი იმ მიზნით, რომ ხელისუფლება, საერთაშორისო ორგანიზაციები, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირები ან სხვა პირები აიძულონ, განახორციელონ რაიმე ქმედება ან თავი შეიკავონ რაიმე ქმედების განხორციელებისაგან, აყვანილი პირის გათავისუფლების პირობით;

ი) ტერორიზმთან ბრძოლა – საქმიანობა, რომელიც მიმართულია ტერორისტული საქმიანობის გამოვლენისაკენ, თავიდან აცილების, აღკვეთისა და მოსალოდნელი შედეგების მინიმუმამდე შემცირებისაკენ;

კ) კონტრტერორისტული ოპერაცია – სპეციალურ ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც მიმართულია ტერორისტული ხასიათის დანაშაულებრივი ქმედების თავიდან აცილებისა და აღკვეთისაკენ, ადამიანთა უსაფრთხოების უზრუნველყოფისაკენ, ტერორისტების გაუვნებლებისაკენ და ტერორისტული აქტის ან/და



ტერორისტული მიზნით განხორციელებული სხვა დანაშაულის მოსალოდნელი შედეგების მინიმუმამდე შემცირებისაკენ;

ლ) უსაფრთხოების ზონა – ტერორიზმთან ბრძოლის სუბიექტების აქტიური და მასობრივი მოქმედების ზონა;

მ) კონტრტერორისტული ოპერაციის ჩატარების ზონა – ადგილმდებარეობის ან აკვატორიის ცალკეული მონაკვეთები, სატრანსპორტო საშუალება, შენობა-ნაგებობა, დაწესებულება და მათი მიმდებარე სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო სივრცე, რომლის ფარგლებშიც ტარდება აღნიშნული ოპერაცია;

ნ) რეჟიმი კონტრტერორისტული ოპერაციის ჩატარების ზონაში – განსაკუთრებული მდგომარეობა, რომელიც შეიძლება დამყარდეს დროებით, კონტრტერორისტული ოპერაციის ჩატარების პერიოდში და რომელიც ითვალისწინებს ტერორიზმთან ბრძოლის სუბიექტებისათვის კანონით განსაზღვრული სპეციალური უფლებამოსილების მინიჭებას, რომელიც აუცილებელია მძევალთა განთავისუფლებისათვის, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

საქართველოს 2013 წლის 27 ნოემბრის კანონი №1640 - ვებგვერდი, 16.12.2013წ.

მუხლი 2. ტერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივი საფუძვლები

საქართველოში ტერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, საქართველოს კანონები, მათ შორის, ეს კანონი, და სხვა ნორმატიული აქტები.

მუხლი 3. ტერორიზმთან ბრძოლის ძირითადი პრინციპები

საქართველოში ტერორიზმთან ბრძოლის ძირითადი პრინციპებია:

ა) კანონიერება;

ბ) ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა და პატივისცემა;

გ) ტერორიზმთან ბრძოლისას ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრიორიტეტულობა;

დ) პრევენციული ღონისძიებების განხორციელების პრიორიტეტულობა;

ე) სამართლებრივი, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, პროპაგანდისტული, საინფორმაციო და სხვა შესაძლებლობების კომპლექსური გამოყენება;

ვ) ტერორისტებთან მოლაპარაკების წარმოება ტერორისტული ხასიათის დანაშაულის მოსალოდნელი შედეგის თავიდან აცილების მიზნით;

ზ) კონტრტერორისტულ ოპერაციაში მონაწილე ძალებისა და საშუალებების ერთიანი ხელმძღვანელობა;

თ) კონტრტერორისტული ოპერაციის ჩატარების ტაქტიკისა და ტექნიკური საშუალებების, აგრეთვე აღნიშნული ოპერაციის მონაწილეთა შემადგენლობის გახმაურების დაუშვებლობა;

ი) ტერორისტული საქმიანობისათვის სასჯელის გარდაუვალობა.

თავი II. ტერორიზმთან ბრძოლის ორგანიზაციული საფუძვლები

მუხლი 4. სუბიექტები, რომლებიც ახორციელებენ ტერორიზმთან ბრძოლას

1. საქართველოში ტერორიზმთან ბრძოლის ორგანიზებას, მისი სპეციალური საშუალებებითა და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფას ახორციელებს საქართველოს მთავრობა.

2. ტერორიზმთან ბრძოლას უშუალოდ ახორციელებენ შემდეგი სუბიექტები:

ა) საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, რომელიც მთავარი ორგანოა ტერორიზმთან ბრძოლის ერთიან სახელმწიფო სისტემაში;

ბ) საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

გ) საქართველოს დაზვერვის სამსახური;

დ) საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური.

3. ტერორიზმთან ბრძოლაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასევე მონაწილეობენ სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოები.

საქართველოს 2010 წლის 27 აპრილის კანონი №2991-სსმI, №24, 10.05.2010წ., მუხ.156

საქართველოს 2015 წლის 8 ივლისის კანონი №3960 – ვებგვერდი, 15.07.2015წ.

მუხლი 5. იმ სუბიექტების უფლებამოსილებანი, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ ტერორიზმთან ბრძოლას

1. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მთავარი სუბიექტია, რომელიც ტერორიზმთან ბრძოლას ახორციელებს: სპეციალური (ოპერატიული, ოპერატიულ-ტექნიკური) და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების გამოყენებით, რომლებიც მიმართულია ტერორისტული საქმიანობის გამოვლენისაკენ, თავიდან აცილებისა და აღკვეთისაკენ; იმ დანაშაულის გამოვლენის, თავიდან აცილებისა და აღკვეთის გზით, რომელიც



ტერორისტული მიზნითაა ჩადენილი და რომლის გამოძიება მის კომპეტენციას განეკუთვნება. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური: აგროვებს ინფორმაციას უცხო ქვეყნებისა და საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ და ახდენს მის სისტემატიზებას; კოორდინაციას უწევს ტერორიზმთან ბრძოლის სუბიექტების საქმიანობას საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტული ცენტრის მეშვეობით; ეს ცენტრი უშუალოდ უზრუნველყოფს კონტრტერორისტული ღონისძიების ჩატარებას. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სხვა დანაყოფები გამოყოფენ აუცილებელ ძალებსა და საშუალებებს და უზრუნველყოფენ მათ ეფექტიან გამოყენებას კონტრტერორისტული ოპერაციის ჩატარებისას.

2. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო უზრუნველყოფს იარაღის, საბრძოლო მასალის, ასაფეთქებელი და მომწამვლელი ნივთიერებების დაცვას, რომლებიც მოთავსებულია სამხედრო ნაწილებში ან ინახება განსაზღვრულ ადგილებში; საქართველოს საჰაერო სივრცეში ტერორისტული აქტის განხორციელების შემთხვევაში ორგანიზებას უწევს საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების ქვედანაყოფების მომზადებასა და გამოყენებას; მონაწილეობს სამხედრო ობიექტებზე ჩატარებულ კონტრტერორისტულ ოპერაციებში.

3. საქართველოს დაზვერვის სამსახური მოიპოვებს და შემდეგ ამუშავებს ინფორმაციას საქართველოს გარეთ მოქმედი უცხო ქვეყნებისა და საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების შესახებ და დადგენილი წესით წარუდგენს სათანადო ორგანოებს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს კონტრტერორისტულ ოპერაციებში.

4. საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური მონაწილეობს იმ ტერორისტული აქტის აღმკვეთ ოპერაციაში, რომელიც მიმართულია თანამდებობის პირებისა და იმ ობიექტებისაკენ, რომელთა დაცვაც მათ კომპეტენციას განეკუთვნება.

საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონი №786 - სსმ I, №40, 29.12.2008 წ., მუხ.254

საქართველოს 2010 წლის 27 აპრილის კანონი №3022-სსმI, №23, 04.05.2010წ., მუხ.141

საქართველოს 2010 წლის 27 აპრილის კანონი №2991-სსმI, №24, 10.05.2010წ., მუხ.156

საქართველოს 2015 წლის 8 ივლისის კანონი №3960 – ვებგვერდი, 15.07.2015წ.

მუხლი 6. სხვა სუბიექტების უფლებამოსილებანი, რომლებიც მონაწილეობენ ტერორიზმთან ბრძოლაში

სხვა სუბიექტები, რომლებიც მონაწილეობენ ტერორიზმთან ბრძოლაში, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში: ახორციელებენ ტერორისტული აქტისა და ტერორისტული ხასიათის სხვა დანაშაულის გამოვლენისაკენ, თავიდან აცილებისა და აღკვეთისაკენ მიმართულ ღონისძიებებს, შეიმუშავებენ და ახორციელებენ გამაფრთხილებელ, რეჟიმულ, ორგანიზაციულ და სხვა სახის ღონისძიებებს; უზრუნველყოფენ კონტრტერორისტული ოპერაციის ჩატარების პირობებს იმ ობიექტებზე, რომლებიც მათი მმართველობის სფეროს განეკუთვნება; ასეთი ოპერაციის ჩატარებისას შესაბამის დანაყოფს გამოუყოფენ მატერიალურ-ტექნიკურ, ფინანსურ, სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის საშუალებებს, სამედიცინო მოწყობილობებსა და მედიკამენტებს, მიაწვდიან ტერორიზმთან ბრძოლისათვის და დასახული დავალების შესრულებისათვის აუცილებელ ინფორმაციასა და სხვა საშუალებებს.

თავი III. ტერორისტული საქმიანობის შედეგად შექმნილი ექსტრემალური სიტუაციების მართვა და კონტრტერორისტული ოპერაციების ჩატარება

მუხლი 7. ტერორისტული საქმიანობის შედეგად შექმნილი ექსტრემალური სიტუაციის მართვა

1. ტერორისტული საქმიანობის შედეგად შექმნილი ექსტრემალური სიტუაციის დროს საქართველოს მთავრობის განკარგულებით იქმნება ექსტრემალური სიტუაციების მართვის ოპერატიული შტაბი, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი.

2. ექსტრემალური სიტუაციების მართვის ოპერატიული შტაბის საქმიანობის ორგანიზებისა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

საქართველოს 2013 წლის 20 სექტემბრის კანონი №1266 – ვებგვერდი, 08.10.2013წ.

საქართველოს 2015 წლის 8 ივლისის კანონი №3960 – ვებგვერდი, 15.07.2015წ.

მუხლი 8. კონტრტერორისტული ოპერაციის ჩატარების ძალები და საშუალებები

1. კონტრტერორისტული ოპერაციის ჩატარებისას, ტერორისტული აქტის აღკვეთის მიზნით ექსტრემალური სიტუაციების მართვის ოპერატიულ შტაბს უფლება აქვს მიიზიდოს აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა აუცილებელი ძალები და საშუალებები. აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოყოფენ კონტრტერორისტული ოპერაციის ჩატარებისათვის აუცილებელ შეიარაღებას, სპეციალურ, სატრანსპორტო, კავშირგაბმულობისა და სხვა მატერიალურ საშუალებებს.

2. იარაღის, სპეციალური საშუალების გამოყენებისა და ფიზიკური იძულების ინტენსივობა განისაზღვრება კონკრეტული სიტუაციის, ტერორისტული ხასიათის დანაშაულისა და ტერორისტის ინდივიდუალურ თავისებურებათა გათვალისწინებით.



მუხლი 9. კონტრტერორისტული ოპერაციის ხელმძღვანელობა

1. კონტრტერორისტული ოპერაციის დაწყების მომენტიდან კონტრტერორისტული ოპერაციის მონაწილე ყველა პირი ემორჩილება ექსტრემალური სიტუაციების მართვის ოპერატიული შტაბის ხელმძღვანელს.

2. ექსტრემალური სიტუაციების მართვის ოპერატიული შტაბის ხელმძღვანელის მოადგილე, როგორც კონტრტერორისტული ოპერაციის ხელმძღვანელი, განსაზღვრავს კონტრტერორისტული ოპერაციის ჩატარების ზონის საზღვრებს, იღებს გადაწყვეტილებას ოპერაციის ჩატარებისათვის მოზიდული ძალებისა და საშუალებების გამოყენების თაობაზე.

3. კონტრტერორისტული ოპერაციის ხელმძღვანელობის საქმიანობაში ნებისმიერი სხვა პირის ჩარევა დაუშვებელია.

მუხლი 10. სამართლებრივი რეჟიმი კონტრტერორისტული ოპერაციის ჩატარების ზონაში

1. კონტრტერორისტული ღონისძიებების განხორციელებისას იქმნება განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმის ორი ზონა – უსაფრთხოების ზონა და კონტრტერორისტული ოპერაციის ჩატარების ზონა.

2. ზონების შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი – ექსტრემალური სიტუაციების მართვის ოპერატიული შტაბის ხელმძღვანელი. ეს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ ეცნობება საქართველოს მთავრობას, საქართველოს პარლამენტს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს და დაუყოვნებლივ ქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

3. უსაფრთხოების ზონა გულისხმობს იმ ტერიტორიას, სადაც ტერორიზმთან ბრძოლის სუბიექტები უფლებამოსილი არიან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დროებით:

ა) მოაწყონ საგუშაგოები ავტოსატრანსპორტო საშუალებების დათვალიერების მიზნით;

ბ) განახორციელონ პატრულირება და შეუმოწმონ მოქალაქეებს პირადობის დამადასტურებელი საბუთები.

4. კონტრტერორისტული ოპერაციის ჩატარების ზონა გულისხმობს იმ ტერიტორიას, სადაც უშუალოდ ტარდება კონტრტერორისტული ოპერაცია.

5. კონტრტერორისტული ოპერაციის ჩატარების ზონაში ოპერაციის ჩამტარებელ პირებს უფლება აქვთ, გადაუდებელი აუცილებლობისას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით:

ა) კონტრტერორისტული ოპერაციის დამთავრებამდე მიიღონ ზომები ქუჩებსა და გზებზე ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობის დროებით შეზღუდვის ან აკრძალვის თაობაზე;

ბ) შეუმოწმონ მოქალაქეებს პირადობის დამადასტურებელი საბუთები პიროვნების დადგენის მიზნით;

გ) ტერორისტული აქტის აღკვეთისას ან ტერორისტული აქტის ჩადენაში ბრალდებული პირის დევნისას, როცა დაყოვნებამ შეიძლება რეალური საფრთხე შეუქმნას ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას: დაუბრკოლებლად შევიდნენ (შეაღწიონ) მოქალაქეთა საცხოვრებელ ბინებში, აგრეთვე მათ კუთვნილ სხვა სადგომებსა და მიწის ნაკვეთებში, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების (მიუხედავად მათი საკუთრების ფორმისა) ტერიტორიებზე, სატრანსპორტო საშუალებებში; გამოიყენონ მოქალაქეებისა და ორგანიზაციების კუთვნილი კავშირგაბმულობის საშუალებები, სპეციალური საშუალებების ჩათვლით; დაათვალიერონ მოქალაქეთა პირადი ნივთები, სატრანსპორტო საშუალებები და ტვირთი, მათ შორის, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, კონტრტერორისტული ოპერაციის ჩატარების ზონაში შესვლისას და ზონიდან გამოსვლისას;

დ) ტერორისტული აქტის თავიდან აცილების მიზნით, ტერორისტული აქტის ჩამდენი პირის დევნისა და დაკავებისათვის, ან სასწრაფო სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის სამედიცინო დაწესებულებაში პირის მისაყვანად, აგრეთვე შემთხვევის ადგილზე მისასვლელად გამოიყენონ მოქალაქეების, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებები, გარდა უცხო ქვეყნების საკონსულოების, დიპლომატიური და საერთაშორისო ორგანიზაციების, აგრეთვე საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი სხვა ორგანიზაციების სატრანსპორტო საშუალებებისა.

6. უსაფრთხოებისა და კონტრტერორისტული ოპერაციის ჩატარების ზონებში ტერორიზმთან ბრძოლის სუბიექტები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

საქართველოს 2010 წლის 24 სექტემბრის კანონი №3619-სსმI, №51, 29.09.2010წ., მუხ.332

საქართველოს 2013 წლის 20 სექტემბრის კანონი №1266 – ვებგვერდი, 08.10.2013წ.

საქართველოს 2015 წლის 8 ივლისის კანონი №3960 – ვებგვერდი, 15.07.2015წ.

მუხლი 11. სპეციალური საშუალებების ან/და ფიზიკური იძულების გამოყენების უფლება

კონტრტერორისტული ოპერაციის მონაწილე პირს უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოიყენოს სპეციალური საშუალებები ან/და ფიზიკური იძულება პირადი და მოქალაქეთა უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად, დანაშაულის აღსაკვეთად და დამნაშავის დასაკავებლად, თუ მათი გამოუყენებლობა ვერ უზრუნველყოფს კონტრტერორისტული ოპერაციის მონაწილე პირის მიერ კანონით დაკისრებული მოვალეობის შესრულებას.

მუხლი 12. ტერორისტებთან მოლაპარაკების წარმოება

1. კონტრტერორისტული ოპერაციის ჩატარებისას ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის, მატერიალური ფასეულობების შენარჩუნების, აგრეთვე ტერორისტული აქტის ძალისმიერი მეთოდების



გამოყენების გარეშე აღკვეთის შესაძლებლობის მიზნით ტერორისტებთან მოლაპარაკების წარმოება დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ტერორისტებთან მოლაპარაკების წარმოებისათვის კონტრტერორისტული ოპერაციის ხელმძღვანელის მიერ დაიშვებიან მხოლოდ საამისოდ სპეციალურად უფლებამოსილი პირები.

მუხლი 13. მოსახლეობის ინფორმირება ტერორისტული აქტის შესახებ

1. კონტრტერორისტული ოპერაციის ჩატარებისას ტერორისტული აქტის შესახებ მოსახლეობის ინფორმირება ხდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებით ან მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი სხვა ფორმით. ინფორმაციის მოცულობას „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრავს კონტრტერორისტული ოპერაციის ხელმძღვანელი. სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნეული ინფორმაციის გახმაურება იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. კონტრტერორისტული ოპერაციის ჩატარების ზონაში შეზღუდულია სატელევიზიო, სამაუწყებლო მობილური სადგურების ან/და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების რეპორტიორთა ყოფნა, რის შესახებაც გადაწყვეტილებას იღებს ექსტრემალური სიტუაციების მართვის ოპერატიული შტაბი.

მუხლი 14. კონტრტერორისტული ოპერაციის დამთავრება

1. კონტრტერორისტული ოპერაცია დამთავრებულად ჩაითვლება, როდესაც საბოლოოდ აღიკვეთება ტერორისტული აქტი და კონტრტერორისტული ოპერაციის ჩატარების ზონაში მყოფი ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული საფრთხე.

2. კონტრტერორისტული ოპერაციის დამთავრებულად გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კონტრტერორისტული ოპერაციის ხელმძღვანელი, რის თაობაზედაც დაუყოვნებლივ ეცნობება მოსახლეობას მასობრივი ინფორმაციის საშუალებით ან მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი სხვა ფორმით.

თავი IV. ტერორისტული აქტის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება და დაზარალებული პირების სოციალური რეაბილიტაცია

მუხლი 15. ტერორისტული აქტის ან მისი აღკვეთის შედეგად ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება

1. ტერორისტული აქტის ან მისი აღკვეთის შედეგად ფიზიკური პირებისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ტერორისტული აქტის ან მისი აღკვეთის შედეგად იურიდიული პირებისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 16. ტერორისტული აქტის შედეგად დაზარალებული პირების სოციალური რეაბილიტაცია

1. ტერორისტული აქტის შედეგად დაზარალებული პირების, აგრეთვე ამ კანონის მე-17 მუხლში მითითებული პირების სოციალური რეაბილიტაცია ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

2. ტერორისტული აქტის შედეგად დაზარალებულ პირთა სოციალური რეაბილიტაციის წესს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

საქართველოს 2013 წლის 20 სექტემბრის კანონი №1266 – ვებგვერდი, 08.10.2013წ.

თავი V. ტერორიზმთან ბრძოლაში მონაწილე პირების სამართლებრივი და სოციალური დაცვა

მუხლი 17. ტერორიზმთან ბრძოლაში მონაწილე პირები, რომლებიც ექვემდებარებიან სამართლებრივ და სოციალურ დაცვას

1. ტერორიზმთან ბრძოლაში მონაწილე პირები იმყოფებიან სახელმწიფოს დაცვის ქვეშ.

2. სამართლებრივ და სოციალურ დაცვას ექვემდებარებიან:

ა) აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მოსამსახურეები, თანამშრომლები და სპეციალისტები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ კონტრტერორისტულ ოპერაციაში;

ბ) პირები, რომლებიც დროებით ან მუდმივად თანამშრომლობენ ტერორიზმთან ბრძოლის სუბიექტებთან და ხელს უწყობენ მათ ტერორისტული საქმიანობის გამოვლენაში, აღკვეთასა და მოსალოდნელი შედეგების მინიმუმამდე შემცირებაში;

გ) ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში მითითებულ პირთა ოჯახის წევრები, თუ მათი დაცვის აუცილებლობა გამოწვეულია ტერორიზმთან ბრძოლაში მონაწილეობით.

3. კონტრტერორისტული ოპერაციის ჩატარებისას ამ ოპერაციაში მონაწილე პირს, რომელიც მონაწილეობდა ტერორიზმთან ბრძოლაში, დასახიჩრების შემთხვევაში (ხოლო დალუპვის შემთხვევაში – მის ოჯახს) ეძლევა კომპენსაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი VI. პასუხისმგებლობა ტერორიზმში მონაწილეობისათვის



მუხლი 18. პასუხისმგებლობა ტერორიზმში მონაწილეობისათვის

პირები, რომლებიც ტერორიზმში მონაწილეობენ, ისჯებიან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი წესით. კონტრტერორისტული ოპერაციის ჩატარებისას თანამდებობის პირის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა ან მისთვის წინააღმდეგობის გაწევა, აგრეთვე მის კანონიერ საქმიანობაში მართლსაწინააღმდეგო ჩარევა იწვევს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

მუხლი 19. იმ ორგანიზაციის პასუხისმგებლობა, რომელიც ტერორისტულ საქმიანობას ახორციელებს

1. სასამართლოს მიერ ტერორისტულად ცნობილი და ტერორისტული აქტის ჩადენისათვის პასუხისმგებელი ორგანიზაცია პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განცხადება ორგანიზაციის ტერორისტულ ორგანიზაციად ცნობის შესახებ სასამართლოში შეაქვს საქართველოს მთავარი პროკურორის მიერ განსაზღვრულ სპეციალურად უფლებამოსილ პროკურორს.

საქართველოს 2008 წლის 1 ნოემბრის კანონი №465 - სსმ I, №30, 07.11.2008 წ., მუხ.185

თავი VII. საქართველოს საერთაშორისო თანამშრომლობა ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში

მუხლი 20. ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის საფუძვლები

საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების თანახმად, საქართველო ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში თანამშრომლობს უცხო ქვეყნებთან, მათ სამართალდამცავ ორგანოებთან, სასამართლოებთან და სპეციალურ სამსახურებთან, აგრეთვე იმ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომლებიც ახორციელებენ საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლას.

მუხლი 21. ინფორმაციის წარდგენა

საქართველო საერთაშორისო ტერორიზმის შესახებ ინფორმაციას უცხო ქვეყანას წარუდგენს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესაბამისად.

მუხლი 22. ტერორისტულ საქმიანობაში მონაწილე პირების გადაცემა (ექსტრადიცია)

1. ტერორისტულ საქმიანობაში მონაწილე უცხო ქვეყნის მოქალაქეები ან/და მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებიც მუდმივად არ ცხოვრობენ საქართველოში, შეიძლება გადაეცეს სხვა სახელმწიფოს მათი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემის მიზნით.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული პირების გადაცემა ხორციელდება მათი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემის მიზნით და საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად.

თავი VIII. ტერორიზმთან ბრძოლის კანონიერების კონტროლი და ზედამხედველობა

მუხლი 23. საპარლამენტო და სამთავრობო კონტროლი

1. ტერორიზმთან ბრძოლის საპარლამენტო და სამთავრობო კონტროლის ფორმები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

2. საქართველოს პარლამენტის წევრებმა კანონით დაცული ინფორმაცია ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ შეიძლება მიიღონ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს 2013 წლის 20 სექტემბრის კანონი №1266 – ვებგვერდი, 08.10.2013წ.

მუხლი 24. საპროკურორო ზედამხედველობა

ტერორიზმთან ბრძოლისას საქართველოს კანონმდებლობის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებას ზედამხედველობენ საქართველოს მთავარი პროკურორი და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სპეციალურად უფლებამოსილი პროკურორი.

საქართველოს 2008 წლის 1 ნოემბრის კანონი №465 - სსმ I, №30, 07.11.2008 წ., მუხ.185

მუხლი 25. ტერორიზმთან ბრძოლის საბიუჯეტო კონტროლი

ტერორიზმთან ბრძოლისას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებისა და სახელმწიფოს სხვა მატერიალურ ი ფასეულობ ების გამოყენებასა და ხარჯვას ზედამხედველობს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სპეციალური ჯგუფი, რომლის წევრებსაც აქვთ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვება.

საქართველოს 2012 წლის 22 ივნისის კანონი №6550 - ვებგვერდი, 29.06.2012წ.



თავი IX. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 26. გარდამავალი დებულებანი

1. საქართველოს მთავრობამ 2014 წლის 1 აპრილამდე უზრუნველყოს შემდეგი ნორმატიული აქტების მიღება:
- ა) „ქვეყანაში კონტრტერორისტული საქმიანობის ორგანიზებისა და ტერორიზმთან ბრძოლის სუბიექტების საქმიანობის კოორდინაციის წესის შესახებ“;
 - ბ) „კონტრტერორისტულ ოპერაციაში მონაწილე და ტერორისტული აქტის შედეგად დაზარალებულ პირთა სოციალური რეაბილიტაციის წესის შესახებ“;
 - გ) „ტერორისტული აქტის შედეგად დაზარალებულ პირთა სოციალური რეაბილიტაციის წესის შესახებ“;
 - დ) „ექსტრემალური სიტუაციების მართვის ოპერატიული შტაბის საქმიანობის ორგანიზებისა და საქმიანობის წესის შესახებ“.
2. ამ კანონის საფუძველზე გამოცემული საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული ნორმატიული აქტების ამოქმედებამდე.
- საქართველოს 2013 წლის 20 სექტემბრის კანონი №1266 – ვებგვერდი, 08.10.2013წ.*

მუხლი 27. დასკვნითი დებულება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
თბილისი,

მ. სააკაშვილი

2007 წლის 27 ივნისი.
№5071–რს

